


საქართველოს



იმისთანა ქმინდა საცემში,
ბეჭდებიც ბეჭდური სიფყვას,
ცყელივით და ჭაბუბით ბუბის
გაცანა ყველა უკადრისდაზგე
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

შაბათი, 24 მაისი, 2014 წელი.

№101 (7482)

რესპუბლიკა


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

1 2
9 0
1 1
8 4

26 მაისი

გიორგი (სა)სანთვერთის
დაბოყნიერებლობის დღე!

„თუ ხელისუფლებს
საქმეს არ აკეთებს,
ხელფასი კი
არ უნდა ჩამოსჭრას,
უნდა გადაირჩიოს“




ბიძინა ივანიშვილის
სომალდზე ჯანყს
ამაოლ ელოდებიან ④

„კანტინიკი“
მოსახვედრად
250\$-იანი ვიზა,
ან ყვითელი ②
ჩემოდანი საქირო

ლენინიან – ბიჭიპაუვილადა,
ბიჭიპაუვილიდან –
ლომინიკ ვენერის ⑫
თვითმკვლელობადა

„ემბაკის ბორბლის“
ახალი სიცოცხლე ⑤



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE

პროექტის № P130413

დავალების სახელწოდება: საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2014-2019 წლებისთვის

კონტრაქტი/RFP № EWHIP-4/CS/ICS-01

საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/ICS-01

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება ადმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანდაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთსა და დასავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში იწვევს უფლებამოსილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი მომსახურების გასაწევად: „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება 2014-2019 წლებისთვის“.

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- (i) როდენობრივად განსაზღვროს საქართველოში არსებული საგზაო უსაფრთხოების პრობლემების მოცულობა და ტიპი;
- (ii) გამოავლინოს ნაკლოვანებები (საგზაო უსაფრთხოების კუთხით) თითოეულ სექტორში: საგზაო უსაფრთხოების დაგეგმვა, ინფორმირება, პროექტირება, გზებით მოსარგებლეთა სწავლება, გაძლიერება, კოორდინაცია და ფინანსური რესურსები;
- (iii) განსაზღვროს საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებები სრულყოფილი, პრიორიტეტული ხუთწლიანი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებით, რომელიც მომზადდება საგზაო უსაფრთხოების მუშა ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით.

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე. კონსულტანტი უნდა იყოს მინიმუმ 15 წლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე მოძრაობის უსაფრთხოების საერთაშორისო ექსპერტი, რომელსაც ექნება საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების მომზადების და აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების წარმართებით განსახორციელებლად ბიუჯეტისა და ახალი პოლიტიკის შემუშავების დადასტურებული ანალოგიური გამოცდილება.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – “მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დაიკვეთა ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იხდლება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამოდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებში – “მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) მოცემული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოსატყვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 13 ივნისის 15:00 საათისა**.

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთსა და დასავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.კახუბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 348
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

Forth East-West Highway Improvement Project Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE

Project No. P130413

Assignment Title: Development of the Georgian National Road Safety Strategy and Action Plan for 2014-2019 years

Contract/RFP No: EWHIP-4/CS/ICS-01

Reference No. EWHIP-4/CS/ICS-01

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the following services: “**Development of the Georgian National Road Safety Strategy and Action Plan for 2014-2019 years**”.

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

- (i) quantify the scale and nature of road safety problems in Georgia;
- (ii) identify deficiencies (in terms of road safety) in each of the following sectors: Road Safety Planning, Information, Engineering, Road User Education, Enforcement, Coordination and Financial Resources;
- (iii) specify the actions required to improve road safety in Georgia by developing a comprehensive, prioritized 5-year Road Safety Strategy and Action Plan in close cooperation with the RSWG.

The estimated duration of assignment is 4 months.

The Consultant should be an experienced international road safety expert with a minimum of 15 years of professional experience, of which proven similar experience in developing national road safety strategies and action plans, budgets and new policies for the successful implementation of these strategies and action plans.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

A consultant will be selected in accordance with the “Consultant's Qualification Selection” procedures set out in World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011 (“Consultant Guidelines”).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **June 13, 2014, 15:00 hours**.

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 348
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

პირსაქმები

ქართული ფეხბურთის დიდი გეგმები

„დაუშორებ მხარე მხალ-ბურთს“ – ესაა საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდის სლოგანი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ თბილისის „ივენტ ჰოლში“ გაიმართა. დონისძიებას 300-ზე მეტი სტუმარი დაესწრა,



მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წევრები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები, სხვა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. საპატიო სტუმართა შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარია, მინისტრთა კაბინეტის თითქმის სრული შემადგენლობა იყო.

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა დავით რურუამ სცენაზე ვეტერან წყალბურთელებსა და სპეციალისტებს უხმო და საქართველოში წყალბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ქართული წყალბურთის საპა-

ტიო ელჩებად გამოაცხადა. რურუამ დაამსწრეთ საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები შეახსენა, შემდეგ კი წყალბურთის განვითარების ფონდის შექმნის შესახებაც აუწყა.

ფონდს ფედერაციის ვიცე-პრე-

ზიდენტმა სანდრო ბითაძე ხელმძღვანელობს, რომელმაც სტუმრებს საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარების გრძელვადიანი პროექტი გააცნო. სანდრო ბითაძის განცხადებით, მთელი რიგ საკითხებთან ერთად ერთ-ერთი აქტუალური სახელი აუზების აშენებაა. გეგმის მიხედვით, უახლოეს 3-5 წელს აღმოსავლეთ საქართველოს უმალევე დონის რვა აუზი უნდა შეემატოს.

გუშინვე გაიმართა რეჟისორ ბასა ფოცხიშვილის კლიბის პრეზენტაცია, რომელიც სპეციალურად საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მხარდასაჭერად გადაიღეს. შეგახსენებთ, ევროპირველობა 14-27 ივლისს უნგრეთში გაიმართება. ქართველ წყალბურ-

თელებს სიტყვით საქართველოში უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმაც მიმართა და მომავალ ევროპირველობაზე წარმატება უსურვა.

შემდეგ სცენაზე ლევან ყიფიანი ავიდა და განაცხადა, რომ ქართველი წყალბურთელების ბოლოდროინდელი მიღწევები გმირობის ტოლფასია. სპორტის მინისტრმა ფონდის მნიშვნელობაზეც გაამხვილა ყურადღება და იდეის ავტორებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. ბოლოს კი ყიფიანმა დასძინა, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო წყალბურთის მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს დიდი სახელის დასაბრუნებლად.

აქვე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარია ავტობიუსის კომენტარსაც გაუზიარა:

„უღრმესი მადლობა დონისძიების ორგანიზატორებს. ყველას გილოცავთ ამ დიდ წარმატებას – საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა პირველად მოახერხა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ტურნირზე ევროპის 12 საუკეთესო ნაკრები ითამაშებს. საქართველოში წყალბურთი ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და ბოლოდროინდელი გამარჯვებები მომავლის იმედს გვაძლევს. ყველაზე კარგად ვიცით, რომ განვითარებას ფინანსური დახმარება სჭირდება. სახელმწიფო შესაძლებლობების ფარგლებში გვერდით უდგას, მაგრამ მართლაც მხარდაჭერა არაა საკმარისი. საქმეში კერძო სექტორიც უნდა ჩაერთოს. მინდა მოვუწოდო ბიზნესმენებს და ყველას, ვინც გული შეტკივა, გახდეს რეალური მხარდამჭერი. მათი გვერდში დგომა ქართული წყალბურთის და მთლიანად ქართული სპორტის დიდი მომავლის საწინდარი გახდება“.

დონისძიების მიზნულს სცენაზე საქართველოს ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს უხმეს.

კახან დოლიძე

ლენინი

ყაზიხვილია „ვიტესთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

მალევე მხარვეზი აღნების „ვიტესთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ საფეხბურთო კლუბ „ვიტესის“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, 21 წლის ქართველი ნახევარმცველი „ვიტესში“ 2018 წლამდე დარჩება. „ვიტესის“ მესვეურები ჯერ კიდევ აპრილში იუწყებოდნენ, რომ ყაზიხვილიის შენარჩუნება სურდათ და საბოლოოდ ეს განახორციელეს კიდევ.



არწმუნებოდა ტექნიკურმა დირექტორმა მოალახმა ახალგაზრდა ნახევარმცველთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ვაკო ნიჭიერი მოთამაშეა. კმაყოფილნი ვართ, რომ ხანგრძლივი კონტრაქტი გავაფორმეთ, რაც მას „ვიტესში“ თამაშის მომავლის ახალ საშუალებას მისცემს“.

თავად ყაზიხვილია ახალი ხელშეკრულებით ძალიან გახარებულია: „ვიტესში“ შემოძლია საუცხოოდ მოეუმატო. კლუბსა და ქალაქ არენში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. მენდობიან, რაც განვითარებაში ხელს შემიწყობს. უახლოეს ხანში საქართველოს ნაკრებს შევუერთდები. ჩვენ მალე საუდის არაბეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. ამის შემდეგ რამდენიმე კვირა დავისვენებ და ივნისის ბოლოს არენში ჩამოვალ“.

განვლილ სეზონში ყაზიხვილია „ვიტესის“ რიგებში 27 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

მსახური ბიორაბაძე

კლინსმანის რჩეულობა სია დონოვანის გარეშე



საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა მუნდიალისთვის საბოლოო 23-კაციანი შემადგენლობა დაასახლა. გერმანელი სპეციალისტის გადაწყვეტილებიდან ყველაზე დიდი მოულოდნელობა ლენდონ დონოვანის ნაკრების მიღმა დატოვება აღმოჩნდა. 32 წლის ფეხბურთელისთვის ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატი ზედმეტ მეოთხე იქნებოდა.

მიკარგები: ბრედ გუზანი („ასტონ ვილა“), ტომ ჰოვარდი („ვევერტონი“), ნიკ რიმანდო („რეალ სოლტ ლეიკი“).

მცველები: დამარკუს ბისლი („ბურზელა“), მეტ ბესლერი („სპორტივ კანზას სიტი“), ჯონ ბრუკსი („ჰერტა“), ჯეფ კამერონი („სტოკი“), ტიმ ჩანდლერი („ნიურნბერგი“), ომარ გონსალესი („ლოს ანჯელეს გელექსი“), ფაბიან ჯონსონი („მიონსენგლადბახი“), დიანდრე იედლინი („სიეტლ საუნდერსი“).

ნახევარმცველები: კილი ბუკერმანი („რეალ სოლტ ლეიკი“), ალესანდრო ბელაო („ნანტი“), მაიკლ ბრედლი („ტორონტო“), ბრედ დევილი („ჰიუსტონი“), მარკ დისკერუნი („რუსენბორგი“), ჯულიან გრინი (მიუნხენის „ბაიერნი“), ჯერმინ ჯონსონი („ბუმიქთაში“), გრეგორ ბუნი („სპორტივ კანზას სიტი“).

თავდამსწვლელი: ჟოზე ალტიდორი („სანდერლენდი“), კლინტ დემპსი („სიეტლ საუნდერსი“), არონ იუჰანსონი („ალკმაარი“), კრის ვონდოვოლსკი („სან ხოსე ერტლვეიქსი“).

გიორგი შოთაძე

კალათბურთი

პიკმანი ეპრაულ კლბი ოფის საუკითხოს

მშრულში სენსაციური გამარჯვების შემდეგ რიკი პიკმანის „მაკაბი“ შინაურ ასპარეზზე გადაერთო და ნახევარფინალურ სერიაში პირველი მოგება მიიღო, ქართული მასპორტის მქონე ამერიკელი კალათბურთელი კი ამ შემთხვევაშიც გამორჩეული ფიგურა გახლდათ.

ვილაჰის „ჰაპოლთან“ საშინაო შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ თელ ავივებები მსოლოდ 1 ქულის სხვაობით იგებდნენ, მე-2 ნახევარში კი ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ფავორიტმა 90:72 იმარჯვა.



ველები ფინალის საგზაურს სტუმრადვე გაინაღდებენ, თუ არადა გადამწყვეტი შეხვედრა 29 მაისს „მაკაბის“ სარბიელზე შედგება. ცნობისთვის, მე-2 ნახევარფინალის სანყის მატჩში ჰაიფას „მაკაბი“ იერუსალიმში „ჰაპოელი“ მოულოდნელად 107:79 გაანადგურა.

საბირქმის ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველ შემხვედრაში ათენის „პანათინაიკოსმა“ პირველი ცენტრი გიორგი შერმაღინი სტუმართა 12-კაციანი განაცხადიდან ერთადერთი გახლდათ, ვინც მოედანზე არ გამოჩენილა.

ვიტალი ჯაფარიძე

რაზი

ვილკინსონი კარიერას ამთავრებს

ინგლისური და მსოფლიო რაგბის ლეგენდა ჯონი ვილკინსონი მიმდინარე სეზონის ბოლოს მოთამაშის კარიერას დაასრულებს.

ფრანგული „ტულონის“ მე-10 ნომერი პროფესიონალთა შორის კიდევ ორ მატჩს ჩაატარებს: დღეს კარდიფში „ჰეინეკენის თასის“ ფინალში, ხოლო შემდეგ – ანტონის „სამსონის თასის“ ფინალში.



ნალს ინგლისური „სარაცენსის“ წინააღმდეგ და 31 მაისს „სტად ფრანსუაზი“ – საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალს „კასტრონი“.

საბუნდევროდ, ჯონი რაგბის საერთოდ მიტოვებას არ აპირებს და „ტულონის“ სამწვრთნელო შტაბშივე დასაქმდება.

ვილკინსონის ინგლისის ნაკრებში 91, ხოლო „ბრიტანელ ლომებში“ 6 მატჩი აქვს ჩატარებული, მისი აქტივში კი 67 მოგება და 1246 (!) ქულაა. ჯონის მსოფლიოს თასის ფინალში ორჯერ უთამაშია და „ექსის ერის თასის“ 4-ჯობის მფლობელი გახლდათ. ყველას ახსოვს მისი არეკნი 2003 წლის მსოფლიოს თასის გადამწყვეტი მატჩის დამატებით დროში, რომელმაც „ვარდებს“ ავსტრალიასთან გამარჯვება მოუტანა. „ტულონის“ პრეზიდენტმა მურად ბურჯულაშვილმა ინიციატივაც კი წამოაყენა, რომ ვილკინსონის პატივსაცემად 10-ნომრიანი მაისური მისი გუნდიდან საერთოდ ამოღებულ იქნას.

კობა კოპანიძე

დასაკლისი

ელენა ბალბაჩას ტრაგიკული დასასრული

ელენა ბალბაჩა 31 წლის იყო და უკვე კარგა ხანია ინგლისში ცხოვრობდა. ჩოგბურთელმა თავის სპორტული კარიერა 2013 წელს დაასრულა, როდესაც ექიმებმა კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. 2010 წელს იგი მსოფლიოს ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგის 50 საუკეთესოთა სიაში შევიდა. ელენამ ავსტრალიისა და უიმბლდონის დიდი სლეიმის ტურნირების შესაშვ რაუნდებამდე მიაღწია, ასევე საერთაშორისო ჩოგბურთის ფედერაციის ტურნირების სერიაში 11 გამარჯვება მოიპოვა.



მიმდინარე წლის ივნისში კი ელენა ბალბაჩას სსოვის პატივსაცემად დიდ ბრიტანეთში საქველმოქმედო მატჩები გაიმართება. მასში მონაწილეობას ჩოგბურთის ისეთი ვარსკვლავები მიიღებენ, როგორებიც არიან მარტინა ნავრატილოვა, ტიმ ჰენმანი, ჯეიმზი მარეი, ენდი მარეი და როს ჰენტი.

როსტომ რაჭველიშვილი

დედამიწის ზურგზე

ზინეთის მოითხოვს ზოგიერთი მოსახლის რუსეთის მიერ ძვირფასი საბაჟო სივრცის დაკრძობის ბაზომ



ზინეთის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა ქვეყნის საბაჟო სივრცის დარღვევის ორი შემთხვევა, რომლებიც მოხდა გასულ სამშაბათს დღის 3 საათზე და საღამოს 6 საათზე. ზინეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის მონაცემებით, პირველმა თვითმფრინავმა ტერიტორიის სიღრმეში შეაღწია ერთ კილომეტრზე, მეორემ – 30 კილომეტრზე.

მეამბოხეთა: შერაცხულა ქალაქის მკაცრად მართვის მუშაობასთან მხარი დაჭერა



სროლის შედეგად, რომელიც დაიწყო უკრაინელი სამხედროებმა ქალაქ რუბეჟოვს რაიონში, ოთხი კაცი დაიღუპა, 16 დაიჭრა, მათ შორის მოქალაქეებიც, იტყობინება ადგილობრივი სამხედრო ექიმი. მეამბოხეებმა ასევე განაცხადეს, რომ ძალიან ნებისმიერ დახვედრის ტყვედ ჩაბარებული მეამბოხეები, და დაჭრილებსაც სოციალურად დაეხმარებიან.

სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოჩენა

ჩინეთში ტერორისტული აქტივობის აფეთქებას უკავშირებენ გარდაცემულ მხარდაჭერას, რომელსაც წყევნიან მუსულმანი უიღურები უცხოეთიდან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმ დაჯგუფებების შემოსვლამ, რომლებიც დაკავშირებული არიან „ალ-ქაიდასთან“,



შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს ჩინეთის ხელისუფლებისთვის, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფას ერთ-ერთ თავის მთავარ ამოცანად მიიჩნევს მსოფლიო ბატონობის გზაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი: აპარტაიდითა და გენდერული დისკრიმინაციის მოხსნასთან დაკავშირებით

კონგრესი ითვალისწინებს, კერძოდ, პენიტანციის მოხსნების „რუსეთის სამხედრო სიძლიერე“ მომზადებას, რომელიც ანალოგიურია იმისა, რაც ქვეყნებშია ცივი ომის წლებში. ასევე იკრძალება თანამშრომლობა რუსეთთან სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ დარგებში, პირობების გადების შესაბამისად ჩამოშორებით.



„მეგრეთაის წელი“

„მეგრეთაის წელი“ სავსეა მშვიდობის ღვთისმშობლის სახლ-მეურნეობა

სამრეწველო საწარმოს თაოსნო საქართველოს ქალთა საბჭო, რომელიც 2014 წელი „მეგრეთაის წელი“ გამოცხადდა. სულ ახლახან კი, ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში, კიდევ ერთი ემიგრანტი ქალის, პოეტ ლია ნაროშვილის შემოქმედებითი საღამო მოაწყო.

საღამოს ლამაზი და ამბოხებით სავსე გასდევდა ლიტერატურად, სამშობლოს მონატრებით გამონევილი სევდა, რომელიც ასე თანმდევი სამშობლოდან გადახვეწილი თანამემამულეებისა...

პოეტის საღამოს პოეტი ვერცხლიანი უძღვებოდა. მან ლია ნაროშვილი ერთად საზოგადოებას ახალი წიგნი „მეგრეთაის წელი“ წარუდგინა და განაცხადა, რომ „თუმცა, ადამიანი ვიწროვრად შეიძლება შორს იყოს სამშობლოდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მასთან სულიერი კავშირის დაკარგვა. ამ მხრივ, ლია ნაროშვილის ახალი კრებული სულ სხვა დატვირთვას იძენს – ის თითქოს ერთგვარი სიდადი უცხოეთსა და სამშობლოს შორის.“

მან აგრეთვე საზოგადოებას ყურადღება მიიქცევინა იმ ფაქტზე, რომ ლიასა და როზა ბერიკაშვილის დიდი მონატრებით და თანადგომით გამოიჭა შესანიშნავი ქართველი პოეტის ლაშა გახარია პირველი კრებული, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში.

ლია ნაროშვილი პირველი ლექსი

„ვოი, ნანა“ თეატრალიზებული სახით წარმოადგინა. შესაფერის კოსტიუმში გამონევილი მშვენიერი ქალი სამშობლოს ბედზე და მამათა მკვლელობაზე ასე მოთქვამდა:

„ვოი, ნანა-ინვის ცხუმი, დაჭრეს ცხენი ცოტნისი, აარიდე მირანგულავა, ტყვია შენი მოძმესი...“

მკითხველთა და მსმენელთა ამ თავყრილობას ამქვეყნიდან ნაადრევად წასული პოეტის ლაშა გახარიას მოგონების გარეშე არ ჩაუვლია. პოეტმა ერთმანეთი-სადმი მიძღვნილ ლექსები წაიკითხა და მსმენელს კიდევ ერთხელ გაახსენა ეს დიდებული პოეტი.

ერთმანეთს ცვლიდნენ გამომსვლელები – საღამოს კეთილი მასპინძელი, ექვთიმე თაყაიშვილის საქველმოქმედო ფონდის „მუზეუმის“ დირექტორი ნინო მაშარაძე-ვილი, საღამოს ორგანიზატორი, საქართველოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან გაბრუაშვილი, პოეტები თამარ ლომიძე, მარინა თეატრალიზაციის სეგარიონ ნადირაძე, მამია გურამ ოთხოზორია, გამომცემელი ზაურ ნაჭყებია, გიორგი ბერიკაშვილი. ახალგაზრდა პოეტმა ოთო ფალიანი ლია ნაროშვილის ლექსები წაიკითხა. კომპოზიტორმა ჯუმბერ ამანათაშვილმა ლიას ლექსებზე შექმნილი სიმღერები მოასმენინა სტუმრებს. ცნობილი ტრავმატოლოგი რეზო სულავა უჩვეულო

თავიანთ ქვეყნებში კოოპერაციის წინაშე არსებულ პრობლემებზე ილაპარაკეს რუსეთის, ბელარუსის, ტაჯიკეთის, უკრაინის, ყაზახეთის, მოლდოვის წარმომადგენლებმა, კოოპერაციის როლის შესახებ მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ილაპარაკა პროფესორმა მიხეილ ვიზიტუმა, მოხსენებით გამოვიდა სხვადასხვა ქართველი ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე თენგიზ სვანიძე.

საქართველოში სოფლად სადღეისოდ საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში დიდია, ადგილებზე დარჩენილები კი უმეტესწილად ხანდაზმულები არიან, რაც საქმიანობის გააძლიერებაში აშკარად ხელს შეშლილია.

ამასთან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სოფლის მოსახლეობას არც სამუშაოთა ჯგუროვანად წარმოების შესაბამისი საშუალებები არა აქვთ, ვთქვამთ, სასუქი, შხამქიმიკატები, სანვავი, თესვა, ტექნიკა, ფინანსური საშუალება და ა. შ., რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებას ხელს აშკარად ხელსშლის.

აქედან გამომდინარე, კოოპერატივების ძირითადი მიზანია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მის წევრებს სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ამიტომ საქართველოში მრავალდარგობრივი კოოპერატივების შექმნა, მათ საქმიანობაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მათ უნდა მიაღწიონ სხვადასხვა სახის საჭიროებებს, რათა გააძლიერონ თავიანთი სოციალური და საეკონომიკური უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ის პროგრამა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო და საწარმო კოოპერატივთა განვითარება „იბერია“ სთავაზობს, მსოფლიოში უნიკალურია და ანალოგი არა აქვს – კოოპერატივში განწესებული წესები უზრუნველყოფს წევრებს უზრუნველყოფას, რომელთა მიზანია, გააძლიერონ თავიანთი საკითხები, რომლებზეც ყურადღება „იბერიის“ თავმჯდომარე როინ აბაბაძემ გაამახვილა.

დაგვეთანხმებით, თემა იმდენად მნიშვნელოვანია და მრავალასპექტიანი, მის შესახებ სათქმელს ერთი საგაზეთო პუბლიკაციით ნამდვილად ვერ ამოვწურავთ. და, მიუხედავად იმისა, რომ კოოპერაციასა და ქვეყანაში მის წინაშე მდგარ პრობლემებზე ვრცელი ლაპარაკი ადრეც არაერთხელ გვქონია, ახლო მომავალშიც მას კიდევ არაერთხელ დავუბრუნდებით.

ოთარ ტურაბაიძე



ამპლუაში წარსდგა – მან შესანიშნავად იმღერა რევაზ ლალიძის „თბილისო“. საღამოს ტრეპსად იქცა ქართველების სიძველე, ცნობილი იტალიელი ტენორი პოლო ლეონტინი, რომელსაც რამდენიმე სიმღერა შეასრულებინა მონეველმა საზოგადოებამ. აკომპანიენტს კომპოზიტორი მაყვალა სორბალაძე უწევდა...

ლია ნაროშვილის პოეზიის საღამო ქართული სულით გამოირჩეოდა. იყო ხელახალი განზომილების ცრემლით გამოწვეული ტკივილიც და სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედი, ყველა ემიგრანტის უკან დაბრუნების სურვილი და ყოველმოსამედიან სიყვარული, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის სახლის კედლებს სიბოთით აფერადებდა... წარმატებები ვუსურვოთ პოეტს!..

ავთანდილ პაპაშვილი


გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, ალექო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულაია, რუსლან რუსია მწუნარებით იუნევიან, რომ გარდაიცვალა მანანა ოსაძე-კვერცხელი და თანაურდნობენ განსვენებულის ოჯახს.

ელიზბარ ლომიძე ოჯახით მწუნარებს გამოთქვამს ძვირფასი ქალბატონის მანანა ოსაძე-კვერცხელის გარდაცვალების გამო და თანაურდნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გახსენება

მიხეილ ბოინაშვილი

27 მაისმა შენს ოჯახს 60 წლის წინათ დიდი სიხარული და სიყვარული მოუტანა შენი დაბადებით, სამი წლის წინათ კი ისევე ამ დღეს სრულიად მლოლოდუნად შეგვალბა ამ ქვეყნიდან შენი წაყვანა ისურვა მარადიული სასუფეველში, ახლა კი 27 მაისი შენი ოჯახისა და ახლობლებისათვის დიდი ტკივილია. სამი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი უშენოდ შენმა წასვლამ უზარმაზარი სიცარიეზე და გულისტკივილი დაგვიტოვა, შენ ხომ გამორჩეული მეუღლე და მამა იყავი, ადამიანი, რომელიც სიყვარულსა და მზრუნველობას არ აკლებდა შენს გარშემო ყოველს. განგესასხტიკი აღმოჩნდა, მაგრამ უფალს ვთხოვთ, მშვიდად განისვენოს შენმა სულმა ზეციურ სასუფეველში, შენი შთამომავლობა კი ღირსეულად გააგრძელებს შენს მიერ დაწყებულ ტრადიციებს, სულ მალე ხომ ქვეყანას შენი მოსახლე და გვარის გამგრძელებელი მოვევლინება, ახდება შენი ოცნება და შაპა გახდები.



შენი ოჯახი და ახლობლები

ქილქუში

ლენინიდან — ბიჭიკაშვილამდე, ბიჭიკაშვილიდან — ღობინიკ პანაშის თვითიპოვებლობამდე

ბასშილი საუკუნის 70-იან წლებში მეტად განსაზღვრული გახლდათ მათი ძეგლები დაწერილი „პოემების“ ავტორის, მატარებლების გამცილებელი ბიჭიკაშვილის ერთი კუპლეტი: „საქართველო, მე ვარ შენი დედაშენი, მამაშენი... ან აშენდი, ან დამშენდი, ანდა ვაბზე გადაშენდი“

იყო ერთი სიცილი და ხარხარი. ზოგს ეჭვიც კი ეპარებოდა, დავიჯერო, ბიჭიკაშვილის დანერვილია?

ეს იმიტომ, რომ მასში რაღაც სიმართლის ნათამაღიც იგრძნობა და, ამასთანავე, ვერსიფიკაციის მხრივაც, გვარიანად იყო განწყობილი.

ისე, ბიჭიკაშვილი ღმერთმა აცხონოს და, ლენინი რომ ლენინია, კი, ეშმას მოვლენილია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ერთი სიმართლე იმასაც წამოსცდა, კინო ავტორი-პროპაგანდის ყველაზე მასობრივი საშუალებათა...



ვინა გართავთ ალვირით? კიდევ რამდენს გაუძლებს საქართველო დაღლილი, ახლა გვი-აღლუმი აგვიფეთქეს ნადმივით. მე რას მეკვეკლუცებით, რა აღლუმი მოგინდათ, თქვენი ყველა დილემა გაარკვეით ლოგინთან. სახლში ვინ გივარდებათ, ამდენს რატომ გაჰყვირით?! ასე გაფაციცებით ვინა გმართავთ ალვირით. თუმცა, მწვანეს გინთებენ შორეული გრანდები, თქვენს ბიბლიურ ცოდვაში მაინც უფალს ბარდებით. ღვთისმშობლის სვედრ მიწაზე გალაღებას თუ ელით, მარცხით დაგიმთავრდებათ ზნეობასთან დუელი. მერაბ მებრძოლი ბიჭო ზარნაძე

ეს სიტყვები მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ითქვა. დღეს კი, 21-ე საუკუნის თითქმის იმავე 20-იან წლებში, ტელევიზიისა და კომპიუტერის მეშვეობით, კინო არქი-მასობრივი პროპაგანდა-ავტორის საშუალებაა!

ახლა ჩავხედოთ კანონს. ირკვევა, რომ არატრადიციული სექსუალური კავშირის ავტორია იკრძალება!

ეს თუ ასეა (არადა, ნამდვილად ასეა!), მაშასადამე, ლეგალური მიერ გადაღებული კინოფილმის „ჩვენ გიყვები ვართ“ ჩვენებაც უნდა იკრძალებოდეს!..

ამიტომაც, გაუგებარია პრობლემასთან (მეტი რომ არა ვთქვათ) დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების ეგზომ ლოიალური დამოკიდებულება, საერთოდ, ამ და, კერძოდ, სხენებულ ფაქტთან მიმართებაში.

ახლა მეორეც. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით ამტყდარი აუიოტაჟის შესახებ. ხელისუფლება კატეგორიულად მომხრეა, საპატრიარქო — კატეგორიულად წინააღმდეგი! ჩვენ, ერთი მხრივ, კანონმორჩილი მოქალაქეები და, მეორე მხრივ, მართლმადიდებელი მრევლი, ანუ ადამიანების ერთი და იგივე მასა, დიდ გაუგებრობაში აღმოვჩნდით: ბავშვს რომ უხერხულ კითხვას უსვამენ, დედა უფრო გიყვარს, თუ — მამო, და უძველდება პასუხი, რადგან არც ერთი არ ემეტება, აი, ისეთში!..

არადა, ამ კანონის მიღებიდან, ერთ-სექსიანთა ქორწინების დაცხრობამდე, დასავლეთევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, ერთი პანაშა ნაბიჯიაო. ერთსექსიანთაო, ვეყო!!!

ძალაუფლებურად გვახსენდება ცნობილი ფრანგი მწერლის, პუბლიცისტისა და ესეისტის, ოთხმოცს მიღწეული დომინიკ ვენერის თავგანწირვა: როგორც კი საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა სხენებულ კანონს ხელი მოაწერა, ვენერმა, პროტესტის ნიშნად პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, ზედსაკუთრებელის წინ მოიკლა რევოლვერით თავი, 1500 მორწმუნის თანდასწრებით, 2013 წლის 22 მაისს!..

ტაძრის მოძღვარმა, მონსენიორ პატრიკ ჟაკენმა განაცხადა, საკურთხევის წინ თვითმკვლელობა ისტორიაში პირველად მოხდაო, ხოლო „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ეს ფაქტი პოლიტიკურ უესტად შეაფასა: „დომინიკ ვენერი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. ამ აშკარა პოლიტიკური ნაბიჯით ის შეეცადა ფრანგი ხალხის გამოღვივებას“.


ეტყობა, ჩვენც, ქართველებსაც კაი მაგარი ძილქუში გვჭირს.

მცირე ენციკლოპედია



ენის საოსრუბანი

რბ იქნებოდა ადამიანის ყოფა ვერბალური ურთიერთობის გარეშე, რომლის შეუცვლელი ატრიბუტი ენაა, ძნელად წარმოსადგენია. ამასთან, ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ საშუალოდ 9 სანტიმეტრის სიგრძის, 5 სანტიმეტრის სიგანისა და 50 გრამი წონის ენაზე 300-დან 5 ათასამდე გემოს ბოლქვია განთავსებული, რომლებიც ათ დღეს არსებობენ, შემდგომ კი მათ ნაცვლად ახლები იზრდება; თურმე, ენის მიხედვით შესაძლებელი ყოფილა ავადმყოფობების დიაგნოსტიკა: მასზე კბილების ანაბეჭდები დისბაქტერიოზს მოწმობენ, ბზარები, შესაძლოა, სისხლის, ენდოკრინული სისტემის, თირკმელების პათოლოგიის ნიშანი იყოს; ენის ანაბეჭდი თითების ანაბეჭდით უნიკალურია; ენაში 16 სახეობის კუნთია; მისი ზედაპირი ძუძუებით, ღრმულებით და ლარებითაა დაფარული, რის გამო მასში ბაქტერიები იბუდებენ; კვების პროდუქტში შაქრის 0,5 პროცენტის შემცველობა სიტკბოს შეგრძნებას იწვევს, მარილის 0,25 პროცენტის შემცველობის დროს — მ ლ ა შ ე ს , 0,002 პროცენტის სიცხარის, ხოლო მყავე გემოს გასაჩენად საკმარისია 0,001 პროცენტის მყავა; ენა წუთში 80-მდე მოძრაობას ასრულებს; თავის მოძრაობის უნიარინობით იგი საქმლის ლეჭვას, მყარი საკვების ნერწყვით დაღობას, კბილების საქმლის ნარჩენებისგან გასუფთავებას და მის საყლაპავში გადასვლას უწყობს ხელს; ენის გარეშე მეტყველება შეუძლებელია; 60 წლის ასაკისთვის ადამიანები გემოს რეცეპტორთა ნახევარს კარგავენ.



„სკლაველი“ ანტიბიოტიკი

ანტიბიოტიკების გამოჩენამ ადამიანის საშუალო სიცოცხლის ასაკი 20-30 წლით გაახანგრძლივა. მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ ბაქტერიებსაც აქვთ საკუთარი „საიდუმლო სიახლები“. საქმე ისაა, რომ ინფექციების გამომწვევებმა ანტიბიოტიკებთან შეგუება ისწავლეს, ამრიგად ბევრი მათგანი ახლა მათ ვერაფერს ვნებს, ისინი წამლების მიმართ რეზისტენტული არიან. ამდენად, „შეიარებათა რბოლაში“ მეცნიერებს ახლა-ახალი წამლების გამოგონება უწევთ, რათა მიკრობებს აჯობონ. შესაძლოა, ამერიკელ მეცნიერთა ახალმა გამოგონებამ ამ გაუთავებელ მარათონს ბოლო მოუღოს და ბაქტერიულ საფრთხეს სამუდამოდ მოერიოს. ბოსტონის ჩრდილო-აღმოსავლეთ უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ისეთი პრეპარატის შექმნის თაობაზე განაცხადეს, რომელთანაც მიკრობებს შეგუების შანსი არა აქვთ, რადგან წამლის შემადგენლობაში ნივთიერებაა, რომელიც ინფექციური უჯრედების ცილების გამხლქვინებში ააქტიურებს. ხოლო იმის გამო, რომ ეს ფერმენტი უჯრედებში ყოველთვისაა, მაშასადამე ახალი ანტიბიოტიკის სამიზნე ნებისმიერ შემთხვევაში იარსებებს. ახალი პრეპარატით უკვე შეძლეს მძიმე ინფექციური დაავადებებით სწეულ თავგის სულ ერთ დღე-ღამეში განკურნვა!

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

გაზეთის შემდეგ ნომერი გამოვა 28 მაისს



კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

- 30 წლის ბაშვის მამა?
- პეტკა.
- რა გვარია?
- ნუ, ისე ახლო ნაცნობები არ ვიყავით, რომ...
- ალმ, ეს დებილის ბინაა?
- ააააა, ვერ გავიგე?
- ბავშვებო, ჩვენ საინტერესო საგნის შესწავლას ვიწყებთ, — ეუბნება სექსუალური აღზრდის გაკვეთილზე მასწავლებელი ბავშვებს — ძალიან მალე ჩვენს კლასში ბიჭები გოგოებით დაინტერესდებიან, გოგოები კი ბიჭებით...
- მასწ, — წამოხტება მისო, — შეიძლება, რომ ისინი, ვისაც უკვე ჰქონია სექსი, ფენბურთის სათამაშოდ წავიდნენ?
- ბავშვებო, ჩაინერეთ და დაიანგარიშეთ, რამდენი გექნებათ ვალი, თუ ერთი ბანკიდან ათი ათასი დოლარი სესხი გაქვთ აღებული, მეორედან — 20 ათასი, მესამედან — თხუთმეტი ათასი, მეოთხედან კი — ჩვიდმეტი ათასი?

- გავიდა ხუთი წუთი. ყველა მონდომებით ანგარიშობს. მისო კი ზის და ჭერს შესწერება.
- აბა, მიპასუხე, მისო! — ეუბნება მასწავლებელი.
- არ ვიცი, მასწ. ჩვენი ოჯახი ასეთ შემთხვევაში სხვა რაიონში გადადის საცხოვრებლად და ტელეფონის ნომრებსაც იცვლის...
- აბა, ვინ შეგეძინა, ბიჭი თუ გოგო? — ეკითხება ტიბი ძმაკაცს.
- ბიჭი. სვეტილანა დავარქვი.
- შენ რა, გაგიყვდი? ბიჭი და სვეტილანა?
- რა მექნა. მშობიარობისას შეცდომით სხვა ქიბლარი მოაჭრეს.
- კითხილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს მალაზიაში რით შემიძლია, რომ დაგხმაროთ?
- თუ შეიძლება, სხვა კონსულტანტები ჩამომაცილეთ.
- ნახე, რა ქნა ამ საზიზარმა ძალღმა, — ეუბნება მასწავლებელი ცოლი ქმარს, — ჩემი ყველა საკრედიტო ბარათი დაღვრა.
- ჭკვი-ა-ნი ძაღლი, კა-რ-გი ძაღლი, — ეუბნება ქმარი ცხოველს.

ავტორთა საპუბლიკაციო რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.
საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (მთვინი) პერფორმანსი d. 19
ინფორმაცია 66434
გამომცემელი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22) 5-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
მთავარი რედაქტორი ალიაკო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი გიგუშა გავაშვილი 514 33-33-24